# თავისუფალი საქართველო

№4

13 - 19 თებერვალი

1996 წ.

ფასი 20 თეთრი

WEEKLY NEWSPAPER TAVISUPALI SAKARTVELO (FREE GEORGIA)

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს ჰელსინკის კავშირის ინიციატივით დაიწყო ხელმოწერების შეგროვება პეტიციაზე, რომელსაც უკვე შეუერთდნენ უზენაესი საბჭოს წევრები და ცნობილი ქართველი მოღვაწეები. ჩვენი გაზეთის რედაქცია უერთდება ამ წამოწყებას და მოუწოდებს საქართველოს მოსახლეობას, თავისი ხელმოწერებით დაადასტუროს 1991 წლის 31 მარტს, საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის რეფერენდუმზე გამოხატული ნება.

მსოფლიოს ხალხთა პარლამენტებსა და მთავრობებს
მსოფლიოს მასობრივი ინფორმაციის საშუალებებს

## პეტიცია

- ვინაიდან სსრკ-ს დაშლის შემდეგ რუსეთის ფედერაციის ხელისუფლება აგრძელებს საბჭოურ იმპერიულ პოლიტიკას ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკების მიმართ;

ვინაიდან ამ პოლიტიკის შედეგად, რუსეთის შეიარაღებული ძალების მონაწილეობით, კავკასიაში ადგილი აქვს ფართომასშტაბიან დესტაბილიზაციას: ხდება დემოკრატიულად არჩეულ ხელისუფლებათა დამხობა და რუსეთის მარიონეტი, ანტიდემოკრატიული რეჟიმების დამყარება, ეთნოკონფლიქტებისა და სამოქალაქო ომების ხელოვნური პროვოცირება, კავკასიის მკვიდრი ხალხების გენოციდი და მათი დეპორტაცია ისტორიული განსახლების ადგილებიდან;

ვინაიდან კავკასიაში რუსეთის შეიარაღებული ძალების ზრდა საფრთხეს უქმნის არა მხოლოდ რეგიონში, არამედ მთელს აღმოსავლეთ ევროპაში მშვიდობის მიღწევას;

ჩვენ, საქართველოს მოქალაქენი მოვითხოვთ - დაუყოვნებლივ იქნეს გაყვანილი რუსეთის ფედერაციის შეიარაღებული ძალები საქართველოდან, ჩეჩნეთიდან და მთელი კავკასიიდან.

მუხრან მაჭავარიანი, ვჟლოდი მირცხულავა, თამარ ებრალიძე, დალი გერმანიშვილი, ანა ჭავჭავაძე, გიორგი მაყაშვილი, ლია ბერუაშვილი, ჯემალ გოლეთიანი, ვახტანგ ქობალია, ნუგზარ მოლოდინაშვილი, ჯამბულ ბოკუჩავა, სოსო ულენტი, ზვიად ძიძიგური, გოგი ოჩიაური, მაია კერესელიძე, თეიმურაზ რეხვიაშვილი, მარიკა აბაიშვილი, ზურაბ შანიძე, ბადრი რეხვიაშვილი, ნუგზარ წიკლაური, დავით გიგაური, ზვიად ჭავჭავაძე, გიორგი ცომაია, ნონა დოჭვირი, ზურაბ წულაია, შალვა ჩილინდრიშვილი, რობერტ პეტრიაშვილი, ირაკლი ჩხეიძე, ზურაბ კვარაცხელია, ფრიდონ ქობალია, ავთანდილ დავითაია, ბეჟან ჯავახია, ლია ანდღულაძე, ნანა კაჭაბავა, ბიძინა დანგაძე, ვახტანგ კეკელია, კლარა შუკვანი, ეთერ მდივნიშვილი, მერი ფარცვანია, თურმან მზარელუა, აულა გიგაური, ანდრო სალაყაია, გურამ მაქაცარია, გიორგი კობახიძე, გურამ ისაკაძე, ქეთევან ქურდოვანიძე, მალხაზ ხუციშვილი, მანანა მელაძე, დალი აბულაძე, ნათელა ბახტაძე, ზვიად ბაბეური, ელენე ჯინჭარაძე, დალი მამულაშვილი, კონსტანტინე ჩიქოვანი, კონსტანტინე ჭიჭინაძე, გიორგი კამკამიძე, თამარ აფრიდონიძე, რობინზონ მენთეშაშვილი, არჩილ მაკარიძე, ჯემალ დავლიანიძე, ელზა ცერცვაძე, ლალი ლომაძე, გიორგი ბერუაშვილი, მიხეილ დათაშვილი, დოდო რეხვიაშვილი, ზურაბ ქსოვრელი, ზურაბ ჯავაშვილი, ბესარიონ არობელიძე, ზაურ იობაია (ხელმოწერები გრძელდება).

## მოწოდება

**უკანონო რეჟიმის დანაშაულებრივი ქმედებების შედეგად დაზარალებული საქართველოს მოსახლეობისადმი**

უზენაეს სასამართლოში 1 თებერვლიდან მიმდინარეობს სასამართლო-სამსჯავრო გამოძიება უზენაესი საბჭოს წევრებისა და საქართველოს ეროვნული გვარდიის ხელმძღვანელობის წარმომადგენელთა მიმართ ფალსიფიცირებული საქმისა. საბრალდებო დასკვნის თანახმად, 1991-დან 1996 წლამდე საქართველოში მომხდარი ყველა ტრაგედია, უკანონო რეჟიმის მიერ ჩადენილი ყველა დანაშაული, მისი მოღალატური პოლიტიკის სავალალო შედეგები ჰბრალდება საქართველოს პრეზიდენტს ზვიად გამსახურდიას, კანონიერ ხელისუფლებას, მთელ ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობას.

ამ პროცესზე მარტო მათი ბედი კი არ წყდება, ვინც განსასჯელთა სკამზეა, არამედ იწერება საქართველოს ყალბი ისტორია; კიდევ ერთხელ ითელება ჩვენი ეროვნული ღირსება და მოქალაქეობრივი ნება. ამიტომ, ყველა ქართველი პატრიოტის ვალია ჩაერთოს ამ პროცესში და ამხილოს შევარდნაძის რეჟიმის დანაშაულობანი.

მოვუწოდებთ უკანონო, მარიონეტული რეჟიმის დანაშაულებრივი ქმედებების შედეგად დაზარალებულ საქართველოს მოსახლეობას, მშვიდობიანი მანიფესტაციების, სამეგრელოს დარბევა-დაწიოკებისას დახვრეტილთა, წამებულთა, შეურაცხყოფილთა ოჯახის წევრებს, ამ დანაშაულობათა მოწმეებს, გამოცხადნენ მიმდინარე სასამართლო პროცესზე და მისცენ უკანონო რეჟიმის მამხილებელი ობიექტური ჩვენებები.

საქართველოს ჰელსინკის კავშირის
ადამიანის უფლებათა კომისია

# ავტორიტეტული სამართალდამცავი ორგანიზაცია საქართველოს შესახებ

## ადამიანის უფლებათა საერთაშორისო ორგანიზაცია
## "Human Rights Watch"

წლიური ანგარიში
1995 წელი
საქართველო

### ადამიანის უფლებათა მდგომარეობის ზოგადი სურათი

მიუხედავად გარკვეული უკეთესობისა, როგორიც არის, მაგალითად, აუცილებელი მოთხოვნა - პოლიციელებმა სამუშაო საათებში ფორმა ატარონ, საქართველოს ხელისუფლება უძლური აღმოჩნდა აღმოეფხვრა ჩვეულებად ქცეული სამართლებრივი დანაშაულობანი პოლიციურ სისტემაში; აღეკვეთა პოლიტიკური მკვლელობები, ძალადობა და უკანონო დაპატიმრებები, აგრეთვე სასამართლო საპროცესო დარღვევები.

1995 წლის 10 მარტს საქართველოს პარლამენტმა მიიღო ეროვნულ უმცირესობათა უფლებების დამცავი კანონი, ხოლო 24 აგვისტოს ხმა მისცა დამოუკიდებლობის შემდგომ პირველ კონსტიტუციას; 17 აპრილს დაფუძნდა ადამიანის უფლებათა ახალი დამოუკიდებელი ჯგუფი - სრულიად საქართველოს ადამიანის უფლებათა საბჭო; ხელისუფლება არ ეწინააღმდეგებოდა ღია დიალოგს ადამიანის უფლებათა მდგომარეობის გარშემო; მთელი ამ ხნის მანძილზე პირველად აღიარა, რომ ძალისმიერი სტრუქტურები იყენებენ უხეშ ძალადობას და წამებას დაპატიმრებულთა მიმართ; გაემიჯნა "მხედრიონს", გასამხედროებულ ფორმირებას, რომლის მხრიდან სამართალდარღვევათა ფაქტების მიმართ აქამდე შემწყნარებლობას იჩენდა.

სამწუხაროდ, საქართველოს მთავრობის ერთი ყველაზე დიდი ინიციატივა - ბრძოლა ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ - კვლავ ადამიანის უფლებათა შემლახავ კამპანიად გადაიქცა. 29 აგვისტოს, სულ რამდენიმე საათში სახელმწიფოს მეთაურის წინააღმდეგ მოწყობილი საავტომობილო აფეთქების მცდელობის შემდეგ, ძალისმიერი სტრუქტურების წარმომადგენლებმა დააკავეს 200-მდე ადამიანი, მოაწყვეს უსანქციო ჩხრეკა მათ სახლებსა და სამუშაო ადგილებში. ამგვარი აგრესიული, კანონსაწინააღმდეგო "წმენდის" მოწყობა ამ კონკრეტულ შემთხვევაში, ძირეულად ეწინააღმდეგება იმ უმოქმედობას, რომელიც, დაახლოებით 6 შემთხვევაში მაინც, გამოიჩინა პოლიციამ, როცა საქმე ეხებოდა სხვა აფეთქებათა მსხვერპლთ.

18 თვიანი სასამართლო პროცესი - "საქმე № 7493810", რომელიც მიმდინარეობდა წამების დადასტურებული ფაქტებისა და აურაცხელი საპროცესო დარღვევების პირობებში, ბოლოს და ბოლოს დასრულდა. 19 განსასჯელს დაუმტკიცეს ბრალეულობა - ტერორიზმიდან დაწყებული, უმნიშვნელო ქურდობით დამთავრებული და, შესაბამისად, მიუსაჯეს სხვადასხვა ზომის სასჯელი - 1-დან 14 წლამდე. ორ მათგანს - ირაკლი დოკვაძეს და პეტრე გელბახიანს - სასიკვდილო განაჩენი გამოუტანეს. უზენაესმა სასამართლომ, მიუხედავად იმისა, რომ 6 თვე გავიდა პროცესის დასრულებიდან, არ გადახედა განაჩენს.

1994 წლის 14 მაისის ხელშეკრულება აფხაზეთის მხარესთან ცეცხლის შეწყვეტის თაობაზე, 1995 წელს ძალაში რჩებოდა. 6 მარტს და 11 - 12 აპრილს გალის რაიონში ადგილი ჰქონდა ადამიანის უფლებათა დარღვევის მნიშვნელოვან ფაქტებს. გაეროს მისიის მოწმობით, აფხაზმა პოლიციელებმა სცემეს და აწამეს 35 ადამიანი; მოკლეს, სულ მცირე, 10 კაცი; დასახლების ადგილებიდან გააძევეს 1500 პიროვნება.

### დამკვირვებელთა უფლების უზრუნველყოფა

ხელისუფლება წინააღმდეგობას უწევდა დამკვირვებელთა მიერ მდინარე ენგურის გასწვრივ განლაგებული იარაღის საწყობების დათვალიერებას, რითაც აბრკოლებდა გაეროს მისიის მუშაობას. გარკვეულ პერიოდში გაეროს მისიის წევრთა უსაფრთხოებაც მუქარის ქვეშ აღმოჩნდა.

წარსული გამოცდილების საწინააღმდეგოდ, საქართველოს ხელისუფლებამ ამჯერად დართო ნება საერთაშორისო წითელი ჯვრის წარმომადგენლებს შეხვედროდნენ ლოთი ქობალიას, მაგრამ მათ არ მიეცათ საშუალება, მოენახულებინათ ყოფილი თავდაცვის მინისტრი - თენგიზ კიტოვანი, რომელიც 1995 წელს დააპატიმრეს უკანონო შეიარაღებული ფორმირებების შექმნისთვის.

### გაეროს საქმიანობა

გაეროს მისია საქართველოში აგრძელებდა თავის წარმომადგენლობას აფხაზეთში. 1995 წლის 12 ივლისს უსაფრთხოების საბჭომ გაუგრძელა უფლებამოსილება თავის მისიას აფხაზეთში. გენერალურმა სამდივნომ და ადამიანის უფლებათა ცენტრმა გააკეთეს რამდენიმე ერთობლივი მოხსენება აფხაზეთის კონფლიქტის გარშემო.

### ევროგაერთიანების და ევროპაში თანამეგობრობისა და უსაფრთხოების ორგანიზაციის როლი

ამ ორგანიზაციებმა საგრძნობი წვლილი შეიტანეს საქართველოში ადამიანის უფლებათა მდგომარეობის გაუმჯობესების საქმეში. ევროპაში თანამეგობრობისა და უსაფრთხოების საბჭო აწარმოებდა მეთვალყურეობას და აღნუსხავდა აფხაზეთში ადამიანის უფლებების დარღვევის ფაქტებს; თანამშრომლობდა შესაბამის ადგილობრივ სტრუქტურებთან ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სტანდარტების საკანონმდებლო სისტემაში ასახვის საქმეში; ჰქონდა მუდმივი კონტაქტები ციხის ადმინისტრაციასთან, ამხელდა უმძიმეს ვითარებას საპყრობილეებში და აფიქსირებდა დარღვევებს ამ სფეროში.

ევროპაში თანამეგობრობისა და უსაფრთხოების საბჭოში საფრანგეთმა, ევროგაერთიანების ეგიდით, დააყენა საკითხი კანონის უხეშ დარღვევათა გამო "სასამართლო საქმეში № 7493810" და 23 მარტს მიიღო რეზოლუცია ორი სიკვდილმისჯილის განაჩენის გადახედვის შესახებ.

### აშშ-ს როლი

აშშ-ს პოლიტიკა ადამიანის უფლებათა დაცვის საკითხში ერთობ გაურკვეველი ჩანდა, რაც, ალბათ, უფრო ვაშინგტონის კურსის ბუნდოვანებით აიხსნება, ვიდრე საკუთრივ საელჩოს დაუდევრობით. 1995 წლის 28 მარტს ჰელსინკის კომისიამ მოაწყო მოსმენა საქართველოში ადამიანის უფლებათა მდგომარეობის შესახებ, სადაც საუბარი იყო მნიშვნელოვან დარღვევებზე ამ დარგში. მაგრამ საელჩოს მონაწილეობა ამ განხილვაში ხელისუფლების მიმართ კულუარული და ნაგვიანევი საყვედურებით შემოიფარგლა.

თანამშრომლობის სურვილის სხვა შემთხვევებში, საელჩო მსხვერპლთა სასარგებლოდ იშვიათად რეაგირებდა დარღვევებზე და ხმას მხოლოდღა ვალის მოსახდელად თუ იღებდა. სახელმწიფო დეპარტამენტის 1994 წლის დასკვნაშიც ადამიანის უფლებათა მდგომარეობის შესახებ, მათი შეფასება ზოგად ხასიათს ატარებს, ამასთან, ეს შეფასებაც კი არათანმიმდევრულია. მაგალითად, "სასამართლო საქმეში № 7493810" ყურადღებას ამახვილებდნენ იმაზე, რომ განსასჯელები არ იყვნენ უზრუნველყოფილი დაცვის უფლებით, ხოლო პატიმართა წამების ალმაშფოთებელ ფაქტებზე არაფერს ამბობდნენ. მეტიც, ასკვნიდნენ, რომ 1994 წლისთვის საქართველოში არ იყო არც ერთი პოლიტპატიმარი. მოხსენებაში არანაირად არ იყო კვალიფიცირებული სახელმწიფო დეპარტამენტის წინა წლების დასკვნებში დაფიქსირებული 100-დე პატიმრის სტატუსი.

(ტექსტი იბეჭდება მცირე შემოკლებით)

# ჩეჩნეთი იბრძვის, ჩეჩნეთი გაიმარჯვებს!



## კონფლიქტის მოგვარების შვიდი შესაძლო ვარიანტი

ჩეჩნეთი კვლავ ყურადღების ცენტრშია.

საომარ მოქმედებებში რუსეთის მხარის სასტიკმა მარცხმა რუსეთის ხელისუფალთ პრობლემისადმი "ახლებური" მიდგომის აუცილებლობა ჩააგონა... ფედერალური ჯარების სარდლის ვ. ტიხომიროვის განცხადებით, ამიერიდან უნდა ველოდოთ ამ რეგიონში რუსეთის პოლიტიკის 180 გრადუსით შემობრუნებას. ლაპარაკობენ ჩეჩნეთიდან ჯარების გამოყვანის თაობაზე. გ.სელეზნიოვის თქმით, უახლოეს მომავალში გამოქვეყნდება ახალი პროექტი ჩეჩნეთის კრიზისის მშვიდობიანი გზით მოწესრიგების შესახებ. რუსეთის პრეზიდენტი კი კონფლიქტის მოგვარების შვიდ შესაძლო ვარიანტზე ლაპარაკობს და იმედოვნებს, რომ ახალი სამშვიდობო ინიციატივა წერტილს დაუსვამს უთანხმოებას კრემლსა და ჩეჩნებს შორის.

ძნელი სათქმელია, გულში რა უდევს კონფლიქტების მშვიდობიანი გზით მოგვარების "დიდოსტატს", მაგრამ მოვლენათა განვითარება ბოლო დღეებში ცხადყოფს, რომ რუსეთის "ახლებური" პოლიტიკა ძველებურად სასტიკი და დაუნდობელი, ძალისმიერ მეთოდებზე აგებული რჩება, ხოლო კონფლიქტის მოგვარების "ვარიანტთა სიუხვე" სულაც ვერ მეტყველებს რუს პოლიტიკოსთა დიდ გონებრივ პოტენციალსა და ფანტაზიაზე...

## გრანდიოზული სამშვიდობო აქცია

რაც შეეხება ჩეჩნურ მხარეს, როგორც ვხედავთ, ისინი მზად არიან რუსეთის მხრიდან შემოთავაზებულ ნებისმიერ პროექტსა და ინიციატივაზე სათანადო რეაგირებისთვის.

მას შემდეგ, რაც პოლიტიკურ წრეებში დაიწყო ლაპარაკი რუსეთის ახალ ინიციატივაზე, ჩეჩნეთის დედაქალაქ გროზნოში არ წყდება დუდაევის მომხრეთა მრავალათასიანი მიტინგი, რომლის მონაწილეებიც მოითხოვენ რუსეთის ჯარების დაუყოვნებლივ გაყვანას ჩეჩნეთის ტერიტორიიდან. როგორც საინფორმაციო სამსახურები აცხადებენ, ეს საპროტესტო გამოსვლები თავისი მასშტაბით უდიდესია ომის დაწყებიდან დღემდე გამართულ აქციებს შორის. მასში დაახლოებით 50 000 ადამიანი მონაწილეობს. მსგავსი საპროტესტო გამოსვლები დაიწყო ჩეჩნეთის სხვა რაიონებშიც. გროზნოს ცენტრალურ მოედნებზე, პრეზიდენტის სახლის თავზე აღმართულია ჩეჩნეთის რესპუბლიკა იჩქერიას დროშები, მომიტინგეებს უჭირავთ პრეზიდენტ ჯ. დუდაევის პორტრეტები. ისინი ალყაში არიან მოქცეული. ფედერალურ ჯარებს, რომელთა გაყვანის შესახებ ასე დაბეჯითებით ლაპარაკობენ რუსეთის ხელისუფლების წარმომადგენლები, ბლოკირებული აქვთ მთელი მოედანი. მომიტინგეებს დროდადრო ჰაერიდანაც მოუწოდებენ დაშლისკენ. რუსეთის საინფორმაციო საშუალებები აცხადებენ, რომ ჯ.დუდაევს განზრახული აქვს ახალი პროვოკაციის მოწყობა, რომ მომიტინგეთა შორის არიან შეიარაღებული პირებიც... რამდენიმე დღის წინ მოედანზე მოხდა მძლავრი აფეთქება, რომლის შედეგადაც დაიღუპა აქციის 2 მონაწილე, არიან დაჭრილებიც. აფეთქებას ერთი რუსი სამხედრო მოსამსახურის სიცოცხლეც შეეწირა.

რუსეთის მხარემ ეს აფეთქება, დაუყოვნებლივ, "ჩეჩენთა მორიგ პროვოკაციად" მონათლა... ტიხომიროვსაც ხმაში ისევ ძველებური რიხი შეეპარა - " რაიმე პროვოკაციის შემთხვევაში, ფედერალური ჯარები ცეცხლს გახსნიან." იქვე დასძინა, რომ ასეთ სიტუაციაში შეუძლებელია ჯარების ნაწილობრივ გაყვანაზე საუბარიც კი. ტიხომიროვის მუქარა უკვე აღასრულეს ფედერალურმა ჯარებმა - მათ ცეცხლი გაუხსნეს ქ. არღუნიდან გროზნოსკენ მიმავალ მრავალათასიან მშვიდობიან მომიტინგეთა კოლონას, რის შედეგადაც მძიმედ დაიჭრა 8 ადამიანი. რამდენიმე დღის წინ მომიტინგეთა რიგებს რუსეთის ომონის ნაწილები მიუახლოვდნენ და შეეცადნენ მშვიდობიანი აქციის ალკვეთას, მაგრამ აქციის მონაწილეებმა უკუაგდეს ისინი. მიუხედავად იმისა, რომ გადაწყვეტილება აქციის ალკვეთის შესახებ კარგა ხანია მიღებულია, არც ერთ სამხედრო დაჯგუფებას არ სურს თავის თავზე აიღოს მიტინგის დარბევის პასუხისმგებლობა. ამასობაში კი მომიტინგეთა რიცხვი გროზნოში დღითი დღე იზრდება, თუმცა რუსეთის ჯარის კორდონები არ აძლევენ საშუალებას აქციის ათასობით მხარდამჭერს, შეუერთდეს მოედანზე მიმდინარე საპროტესტო აქციას.

## მიტინგის დარბევის საფრთხე სულ უფრო რეალური ხდება

10 თებერვალს მომიტინგეთა ერთი ნაწილი შეეცადა ალყის გარღვევას. ფედერალურმა ჯარებმა ამ მცდელობას ჰაერში სროლით უპასუხეს. მიუხედავად სასტიკი წინააღმდეგობისა რუსების მხრიდან, ჩეჩნებმა მაინც შეძლეს აქციის მონაწილეებთან შეერთება. უნდა ითქვას, რომ რაც უფრო რეალური ხდება მიტინგის ძალისმიერი მეთოდებით დაშლის საფრთხე, მით უფრო იზრდება ხალხის რაოდენობა მოედანზე - აგებენ ბარიკადებს, ემზადებიან ღამის გასათევად.

რუსეთის ხელისუფლების რჩეული დ. ზავგაევი, რომელსაც, ჩანს, ძალზედ აწუხებს თავისი "არჩევის" შემდეგ ქვეყანაში "დასადგურებული სტაბილიზაციის" ბედი, ცდილობს ჩეჩნეთიდან რუსეთის ჯარის გაყვანის ინიციატორის იმიჯი შეიქმნას და ამით მინიმალური ავტორიტეტი მაინც მოიპოვოს, მაგრამ ნათელია, რომ მის ამ სურვილს განხორციელება არ უწერია: მარტოოდენ მშვიდობიანი აქციის მონაწილეთა რაოდენობაც საკმარისია იმის გასაგებად, თუ რა არჩევნები ჩაატარა ჩეჩნეთში რუსეთის ხელისუფლებამ და ვინ აირჩია ჩეჩენმა ხალხმა თავის წინამძღოლად. არადა, რუსეთს, მოახლოებული საპრეზიდენტო არჩევნების წინ, ძალზედ სჭირდება, თუნდაც მოჩვენებითი, რამდენიმე თვიანი სტაბილიზაციის დამყარება ჩეჩნეთში და იქ ზავგაევის მარიონეტული მთავრობის დროებით მაინც "დამაგრება"...

## გერმანიას აშფოთებს დუდაევის მუქარა

...ამასობაში კი მსოფლიოს პოლიტიკურ წრეებში გაუთავებლად ბჭობენ მოვლენათა შესაძლო განვითარების შესახებ.

რუსეთში გრძელდება საპროტესტო ხელმოწერების შეგროვება ჩეჩნეთში ომის შეწყვეტის მოთხოვნით. ნიჟეგოროდის გუბერნატორის ბ.ნემცოვის ინიციატივას სხვა გუბერნიებშიც შეუერთდნენ. ომის შეწყვეტას მოითხოვენ ისეთი მსხვილი პოლიტიკური ორგანიზაციები, როგორიცაა "რუსეთი ჩვენი სახლია", "იაბლოკო", "რუსეთის დემოკრატიული არჩევანი", "წინ რუსეთი", "ქრისტიან-დემოკრატები".

ორგანიზაცია "ჯარისკაცთა დედების" ინიციატივით, დაიწყო ახალი კამპანია, რომელიც მიზნად ისახავს კონკრეტული მონაცემების შეგროვებას ჩეჩნეთში დაღუპულ რუს ჯარისკაცთა შესახებ. ოფიციალური სტატისტიკის მიხედვით, ომში 2000-მდე რუსი სამხედრო მოსამსახურე დაიღუპა. აღნიშნული ორგანიზაციის მონაცემებით კი, რომელიც კონკრეტულ ფაქტებს ეყრდნობა, ამ ომმა 10 000 - მდე ჯარისკაცის სიცოცხლე შეიწირა.

ელცინი საზღვარგარეთის მხრიდანაც დიდ დაწოლას განიცდის. სულ რამდენიმე დღის წინ ევროსაბჭოს ასამბლეის თავმჯდომარემ - ფიშერმა განაცხადა, რომ ჩეჩნეთის პრობლემა სცილდება რუსეთის შიდა პოლიტიკის საზღვრებს და მისი გადაჭრა მხოლოდ დისკუსიაში უცხო სახელმწიფოთა მონაწილეობით შეიძლება. ევროპის ზოგიერთი სახელმწიფო ძალზედ შეაშფოთა პრეზიდენტ ჯ. დუდაევის განცხადებამ, რომელშიც გამოთქმული იყო უკმაყოფილება დასავლეთის პოზიციით ჩეჩნეთის პრობლემის მიმართ და მინიშნებული იყო ევროპის ქვეყნებშიც მოვლენათა "არასასურველი" გზით განვითარების პერსპექტივაზე. ამ განცხადებით აღელვებულმა გერმანიის მთავრობამ შესაბამის ორგანიზაციებს დაავალა გულდასმით გაერკვიათ რამდენად რეალურია დუდაევის მუქარა...

## როგორ გაფორმდება ჯარების გაყვანა

პოლიტიკური მიმომხილველები ჩეჩნეთში მოვლენათა განვითარების სამი შესაძლო ვარიანტის შესახებ ლაპარაკობენ:

პირველი - ხელმოწერილი იქნება პოლიტიკური შეთანხმება ჯარების გაყვანამდე, რომლითაც განისაზღვრება ჩეჩნეთის სტატუსი და მოხდება ხელისუფლების ახალ სტრუქტურათა ფორმირება ოპოზიციის მოთხოვნათა გათვალისწინებით.

მეორე - ჯარები სასწრაფოდ, ყოველგვარი პოლიტიკური შეთანხმების გარეშე დატოვებენ ჩეჩნეთს, რაც გამოიწვევს ზავგაევის მთავრობის სრულ კრახს და დუდაევის ხელისუფლების აღდგენას. ამას მოჰყვება სამოქალაქო ომი და რუსეთს კვლავ მიეცემა ჩეჩნეთში ჯარების შეყვანის საბაბი.

და მესამე - რუსეთი გაიყვანს ჯარს ჩეჩნეთიდან, შეინარჩუნებს სამხედრო ბაზებს. ამით ელცინი არჩევნების წინ მსოფლიოს მიანიშნებს თავისი "კეთილი" ნების შესახებ. პარალელურად კი დაეხმარება ზავგაევის მთავრობას. მიუხედავად იმისა, რომ პოლიტიკური მიმომხილველები უფრო მესამე ვარიანტის განხორციელებას ვარაუდობენ, ბოლოდროინდელმა მოვლენებმა ცხადყვეს, რომ პროცესებს ჩეჩნეთში რუსული სცენარის მიხედვით განვითარება არ უწერია. რუსეთის სურვილი, მსოფლიოს აუწყოს თავისი მშვიდობისმყოფელობის შესახებ და ზავგაევის მცდელობა, დაიმკვიდროს ქვეყნის ტერიტორიიდან რუსეთის ჯარების გაყვანის ინიციატორის იმიჯი, უკვე კრახით დასრულდა - გროზნოში გამართულმა უზარმაზარმა მიტინგმა ცხადყო, თუ რამდენად რეალურია რუსეთის მიერ წამოწყებული ე.წ. სამშვიდობო ინიციატივა. გასაყვანად გამზადებული რუსული ჯარი გროზნოს ცენტრალურ მოედანზეა თავმოყრილი და ერთი კვირაა მშვიდობიანი აქციის ალაგმვას ცდილობს.

გროზნოში მიმდინარე საპროტესტო აქციამ აჩვენა მსოფლიოს, რომ ამ კონფლიქტის გადაწყვეტა დამოკიდებულია არა რუსეთის ხელისუფლების მიერ შემოთავაზებულ "სამშვიდობო პროგრამებსა" და ახალ-ახალ ვარიანტებზე, არამედ სწორედ ჩეჩენი ხალხის ურყევ ნებაზე, მათ თავდადებასა და ერთხელ არჩეული გზის ერთგულებაზე; რომ სწორედ მათი ბრძოლით და არა ვინმე სხვისი სურვილით, არა რუსეთის გულმოწყალების იმედით გახდება შესაძლებელი საბოლოო გამარჯვების მოპოვება. ამ გზაზე ჩეჩენმა ხალხმა თავის წინამძღოლად უკვე კარგა ხანია აირჩია ჯოჰარ დუდაევი და როგორც არაერთხელ დამტკიცდა, არავითარი სხვა გარანტი სტაბილიზაციისა ჩეჩნეთში დღეს არ არსებობს. "მე არ ვიცი, რას უზამენ საქართველოს და აზერბაიჯანს, მაგრამ ისინი ვერაფერს დააკლებენ ჩეჩნეთს" - ამბობს ჯოჰარ დუდაევი და როგორც აღმოჩნდა, ზოგიერთი "დიდი პოლიტიკოსისგან" განსხვავებით, იგი სიტყვებს ჰაიჰარად არ ისვრის...

და მიუხედავად იმისა, რომ ზავგაევი ძალზედ ჰგავს საქართველოს დღევანდელ მმართველს, იგი, ალბათ, ვერასოდეს მოახერხებს ჩეჩნეთში იმას, რისი ჩადენაც საქართველოში შეძლო ე. შევარდნაძემ. სამწუხარო მხოლოდ ისაა, რომ ქართველებმა მტრის მტრულად დახვედრა სხვებისგან უნდა ვისწავლოთ.

## შვიდი უდრის ერთს, ანუ რუსეთი ყოველთვის რუსეთად რჩება

11 თებერვალს რუსეთის ფედერალური ჯარის ნაწილებისა და ჩეჩნეთის რენეგატი მთავრობის მილიციელთა რაზმების მიერ დარბეულ იქნა თავისუფლების მოედანზე გამართული მიტინგი. რუსი ჯარისკაცები ჟურნალისტებს შემთხვევის ადგილზე არ უშვებენ, რათა ვერავინ დააფიქსიროს დახოცილთა და დაჭრილთა რაოდენობა. ზოგიერთი ინფორმაციით, მათი რიცხვი რამდენიმე ათეულს აღემატება. რუსეთის ტელევიზია ურცხვად ცდილობს სისხლიანი დარბევის გამართლებას და აცხადებს, რომ მომიტინგეთა შორის იყვნენ შეიარაღებული პირები, ხოლო საპროტესტო აქციის მონაწილეთა დაბომბვის ფაქტს უარყოფს: - თვითონ ჩეჩნებმა, შემთხვევით, ცეცხლში ჩაყარეს ყუმბარები და აუფეთქდათო. ამგვარი ცინიზმი და სისასტიკე არც პირველია რუსეთისთვის და, ალბათ, არც ბოლო იქნება. ბოროტების იმპერიის მემკვიდრე თავისი ტრადიციების ერთგული დარჩა.

მშვიდობიანი მიტინგის დარბევის შემდეგ ყველასთვის ნათელი გახდა, რომ არავითარი შვიდი ვარიანტი კონფლიქტის მოგვარებისა არ არსებობდა და ვერც იარსებებდა რუსეთისთვის. ამ ქვეყნისთვის პრობლემის გადაწყვეტის ერთადერთი მისაღები ვარიანტი არსებობს - ცეცხლი და მახვილი თავისუფლების, ზნეობის, ვაჟკაცობის, სინდის-ნამუსის დასათრგუნავად. პასუხი ამ ქმედებებზე ერთადერთია და ეს პასუხი რუსეთს, ჩეჩნეთთან ერთად, უნდა გასცეს მთელმა კავკასიამ.

ნუგზარ წიკლაური

ეროვნული ბიბლიოთეკა

## “დღევანდელ სასამართლო ხელისუფლებას არა აქვს ჩვენი გასამართლების არც იურიდიული და არც მორალური უფლება.“

# ეს სასამართლო პროცესი პოლიტიკური ძალადობის მორიგი ნიმუშია

### განცხადება

1990 წლის 28 ოქტომბერს, მრავალპარტიული, დემოკრატიული არჩევნების გზით, საქართველოში ჩამოყალიბდა ეროვნული ხელისუფლება, რითაც მშვიდობიანად ბოლო მოეღო კომუნისტურ მმართველობას, - რომელიც წარმოადგენდა 1921 წელს რუსეთის მიერ საქართველოს ოკუპაციის შედეგად დასმულ მარიონეტულ ხელისუფლებას. დაიწყო მშვიდობიანი პოლიტიკური გზით საქართველოს დეოკუპაციის პროცესი. საქართველომ შეძლო იურიდიულად გამოსულიყო საბჭოთა კავშირის შემადგენლობიდან. ეროვნული ხელისუფლების მიერ მიღებულ იქნა ისტორიული მნიშვნელობის პოლიტიკური აქტები (1991 წლის 31 მარტის რეფერენდუმი, 9 აპრილის დამოუკიდებლობის აღდგენის აქტი, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის გაუქმება, რუსეთის შეიარაღებული ძალების საქართველოში განლაგებული ნაწილებისთვის საოკუპაციო სტატუსის მინიჭება); 1991 წლის 26 მაისს ჩატარებულ იქნა პირველი საპრეზიდენტო არჩევნები, რომლის შედეგებითაც, საქართველოს პირველი პრეზიდენტი გახდა ზვიად გამსახურდია; აქტიურად დაიწყო იურიდიული და სამართლებრივი ბაზისის შექმნა დამოუკიდებელი სახელმწიფოს ჩამოსაყალიბებლად; შეიქმნა ეროვნული გვარდია; დაიწყო დიპლომატიური ურთიერთობების დამყარება საზღვარგარეთის ქვეყნებთან და ა.შ. დამოუკიდებელი სახელმწიფოს მშენებლობის ეს პროცესი შეჩერებულ იქნა 1991 წლის დეკემბერ - 1992 წლის იანვარში განხორციელებული სამხედრო გადატრიალებით, რომელიც ორგანიზებულ იქნა რუსეთის რეაქციული ძალების მიერ - ყოფილი კომუნისტი ფუნქციონერების, კრიმინალური ელემენტებისა და კომუნისტების დროინდელი პრივილეგირებული ინტელიგენციის მეშვეობით. სამხედრო გადატრიალებაში აქტიურ მონაწილეობას იღებდა ამიერკავკასიის რუსეთის სამხედრო ოლქის ნაწილები. სამხედრო გადატრიალების შედეგად ძალაუფლება ხელში ჩაიგდო ჯერ სამხედრო, ხოლო შემდეგ სახელმწიფო საბჭომ (რომელიც სამხედრო საბჭოს ახალ, ასევე არალეგიტიმურ ვარიაციას წარმოადგენდა). 1992 წლის 11 ოქტომბერს სახელმწიფო საბჭოს მიერ ჩატარებულ იქნა ე.წ. იმედის არჩევნები, რომლითაც საქართველოში “არჩეულ იქნა“ პარლამენტის თავმჯდომარე და პარლამენტი. აღნიშნული არჩევნები იყო უკანონო, რადგანაც:

1. დანიშნული იყო უკანონო ორგანოს - სახელმწიფო საბჭოს მიერ;
2. დარღვეულ იქნა არჩევნების რიგითობა, პერიოდულობა, უწყვეტობა;
3. არჩევნები ჩატარებულ იქნა კურიოზული საარჩევნო კანონით, რომლის მიხედვითაც, ფაქტობრივად, საჭირო არ იყო საარჩევნო ყუთებთან მისვლა;
4. არჩევნებში მონაწილეობა არ მიუღია საქართველოს მოსახლეობის აბსოლუტურ უმრავლესობას, რაც მრავალგზის დადასტურებულ იქნა საერთაშორისო დამკვირვებლების მიერ;
5. არჩევნები მიმდინარეობდა სასტიკი რეპრესიების პირობებში, როდესაც საქართველოს დამოუკიდებლობისთვის მებრძოლი ასეულობით პიროვნება, ვინც პროტესტს გამოთქვამდა არსებული რეჟიმის წინააღმდეგ, მოთავსებულ იქნა საპყრობილეში. ქვეყანაში დათარეშობდნენ კრიმინალური ბანდები;
6. მიუხედავად რეპრესიებისა და დაშინების სხვა ფორმებისა, არჩევნები არ ჩატარებულა დასავლეთ საქართველოს ზოგიერთ რაიონში, აგრეთვე აფხაზეთსა და შიდა ქართლში;
7. არჩევნების დროს ქვეყანაში მიმდინარეობდა ომი. რიგ რაიონებში იყო საომარი და საალყო პირობები;

“საქართველოს პარლამენტი“ დაკომპლექტებულ იქნა საკომპენსაციო სიებით, რის შედეგადაც ყველა კოლაბორაციონისტული პარტია იქნა წარმოდგენილი პარლამენტში. მათი ინტერესების გათვალისწინება მოხდა სამხედრო გადატრიალებაში მონაწილეობის ხარისხის შესაბამისად. 1992 წლის 11 ოქტომბრიდან 1995 წლის 5 ნოემბრამდე ამ სტრუქტურას არ მიუცია პოლიტიკური შეფასება 1991-92 წწ. მიჯნაზე საქართველოში დაწყებული მოვლენებისთვის, რითაც კიდევ ერთხელ დაადასტურა თავისი უკანონობა.

1992 წლის 6 იანვრის შემდეგ, საქართველოს პირველმა პრეზიდენტმა და უზენაესმა საბჭომ დევნილობაში გააგრძელეს მოღვაწეობა. 1992 წლის მარტში გროზნოში ჩატარებულმა უზენაესი საბჭოს სხდომამ თბილისის მოვლენები შეაფასა სამხედრო გადატრიალებად, ხოლო იმავე წლის ოქტომბერში უკანონოდ გამოაცხადა და ბათილად ცნო 1992 წლის 11 ოქტომბრის არჩევნების შედეგები. მეორე მხრივ, არ არსებობს სამართლებრივი ნორმა, რომლის მიხედვითაც, 1990 წლის 28 ოქტომბერს არჩეული უზენაესი საბჭოს ფუნქციონირება და მის მიერ მიღებული გადაწყვეტილებები ჩაითვალოს უკანონოდ.

ასეთ პოლიტიკურ-სამართლებრივ ფონზე, დღემდე გრძელდება 1992 წლის 4 იანვარს სამხედრო საბჭოს მიერ გენერალურ პროკურორად დანიშნული ვ. რაზმაძის მიერ აღძრული სისხლის სამართლის საქმე “პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიასა და მის მომხრეთა მიმართ“. ბოლო არ უჩანს, დღევანდელი ხელისუფლების დაკვეთით, ახალ-ახალი ფალსიფიცირებული საქმეების მიერთებას ზემოაღნიშნულ საქმესთან. პროკურატურა, რომელიც ვალდებული იყო სისხლის სამართლის საქმე აღეძრა სამხედრო გადატრიალების ორგანიზატორთა და შემსრულებელთა მიმართ, ფაქტობრივად, ამ უკანასკნელთა დიქტატის ქვეშაა მოქცეული. ცდილობს სამართლებრივი რესპექტაბელობა შესძინოს რეჟიმის უკანონო ქმედებებს და ბოლშევიკური ტოტალიტარიზმისთვის დამახასიათებელი ცინიკურობით, სამშობლოს მოღალატეებად, ბანდიტებად, დივერსანტებად, ტერორისტებად აცხადებს საქართველოს თავისუფლებისა და კანონიერებისთვის მებრძოლ ეროვნული ხელისუფლების წარმომადგენლებს და მათ მხარდამჭერებს. სასამართლო პროცესები, როგორც წესი, მხოლოდ ფორმალურ ხასიათს ატარებს და განსასჯელთა ბედი ფაქტობრივი ხელისუფლების ზედა ეშელონებში წყდება. ამასთან, გამოძიების პროცესში ადგილი აქვს წამებას, უდანაშაულობის პრეზუმფციის დარღვევას, პატიმართა ახლობლების დაპატიმრებასა და დაშინებას. არ არსებობს დაცვის უფლებები, უარს ამბობენ სამედიცინო დახმარებაზე. საქმეების ამგვარი ფაბრიკაციებით, დღეს საქართველოში ასეულობით პოლიტპატიმარია, მათ შორის, უზენაესი საბჭოს 6 წევრი.

სასამართლო ფარსისა და ცინიზმის დემონსტრირებას წარმოადგენდა დოკვაძე-გელბახიანის საქმედ წოდებული სასამართლო პროცესი, როდესაც, განსასჯელთა მყარი პოლიტიკური შეხედულებების გამო, გამოტანილ იქნა ორი სასიკვდილო განაჩენი პეტრე გელბახიანისა და ირაკლი დოკვაძის მიმართ. ამჟამად საპატიმრო ადგილებში მორიგ სასამართლო სპექტაკლებზე განაჩენის გამოტანას ელოდება ეროვნული ხელისუფლების 50-მდე წარმომადგენელი და მისი მხარდამჭერი: ზაურ ქობალია, ბიძინა გუჯაბიძე, მირიან ხინთიბიძე, ბადრი ზარანდია, ზვიად შეროზია, გაბრიელ ბენდელიანი, გურგენ მალანია, მურმან გულუა, კობა ძიძიგური, ზაზა დანელია, ვაჟა წერეთელი, გიორგი ყორბესაშვილი და სხვები. სისხლის სამართლის მხოლოდ ერთი საქმე №7495927, “ლოთი ქობალიასა და სხვათა მიმართ“, ეხება 25 პირზე მეტს, რომელთა შორის არიან ეროვნული ხელისუფლების უზენაესი საბჭოსა და მთავრობის წევრები: გურამ აბსანძე, ტარიელ გელანტია, ბესარიონ გუგუშვილი, გივი თაქთაქიშვილი, ნემო ბურჭულაძე, თენგიზ ბარამიძე, თამაზ ვაშაძე, ვალერი გაბელია, კოტე ფირცხალავა, სოსო ჟვანია, ზურაბ გუჩუა, სოსო ლაგვილავა, გია ჭითანავა, გოჩა არაჩემია, ტარიელ გასვიანი და სხვები.

მიუხედავად გამოძიების პროცესში ჩადენილ სამართალდარღვევათა მრავალგზის დადასტურებული ფაქტებისა, არ აღძრულა სისხლის სამართლის საქმე შესაბამის პირთა მიმართ.

კანონიერი ხელისუფლების წარმომადგენლებსა და მათ მხარდამჭერებთან ანგარიშსწორებისთვის პროკურატურას და სასამართლოს შედგენილი აქვს ტრაფარეტული სქემა, რომლის მიხედვითაც, კონკრეტულ ქმედებებში პირთა მონაწილეობა არ არის სავალდებულო მათ განსასჯელად. საკმარისია მათი პოლიტიკური შეხედულებების დადგენა. ამასთან, ამ შეხედულებათა სიმტკიცეზე პირდაპირპროპორციულად არის დამოკიდებული სასჯელის ზომა. ამა თუ იმ განსასჯელის ქმედება, როგორც წესი, წინასწარ “კვალიფიცირდება“ (უდანაშაულობის პრეზუმფციის დარღვევით) ფაქტობრივი ხელისუფლების წარმომადგენელთა მიერ, რომლის ფიქსაციასაც ახდენს შემდგომში სასამართლო.

დღევანდელი სასამართლო ხელისუფლებისთვის კანონის უზენაესობის პრინციპი შეცვლილია ფაქტობრივი ხელისუფლების ნების უზენაესობით, რის გამოც, სასამართლო და პროკურატურა წარმოადგენს მმართველი რეჟიმის დამხმარე “იურიდიულ“ კანტორას პოლიტიკური მოწინააღმდეგეების დათრგუნვისთვის.

ფალსიფიცირებულ საქმეთა ამ სერიალის გაგრძელებაა საქმე №7495927, “ლოთი ქობალიასა და სხვათა მიმართ“, რომელიც იურიდიული ნორმების უხეში დარღვევებითაა შეთხზული. პროკურატურა, ყოველგვარი სამართლებრივი ბაზის და იურიდიულ ნორმათა გარეშე, 1991-92 წწ. მოვლენებს აფასებს როგორც კონფლიქტს ხელისუფლებასა და ოპოზიციას შორის, რომელიც ოპოზიციის გამარჯვებით დამთავრდა. 1993 წელს დასავლეთ საქართველოში მიმდინარე მოვლენები ასახულია ცალმხრივად, ტენდენციურად. მოწმეთა უმრავლესობა წარმოადგენს ხელისუფლებას და მათი ჩვენებები ემსახურება არა სიმართლის დადგენას, არამედ კანონიერი ხელისუფლებისა და მის მხარდამჭერთა დადანაშაულებას მმართველი რეჟიმის სასარგებლოდ. წინასწარი გამოძიების პროცესში სასამართლოს მიერ საბრალდებო დასკვნის სახით წარმოდგენილი ბრალი (გრამატიკული შეცდომებითაც) სიტყვასიტყვითაა გადმოწერილი.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, ვაცხადებთ, რომ დღევანდელ სასამართლო ხელისუფლებას არა აქვს ჩვენი გასამართლების არც იურიდიული და არც მორალური უფლება. ეს სასამართლო პროცესი პოლიტიკური ძალადობის მორიგი ნიმუშია. სასამართლო პროცესში, სადაც ყველაფერი წინასწარ გადაწყვეტილია, ვმონაწილეობთ მხოლოდ იმიტომ, რომ ვამხილოთ არსებული ხელისუფლება და მისი დანაშაულებრივი პოლიტიკა.

როგორც უზენასი საბჭოს წევრები, ვეყრდნობით რა საქართველოს კონსტიტუციასა და კანონებს, რომელთა მოქმედება შეწყვიტეს უხეში ძალის გამოყენებით სწორედ მათ, ვინც დღეს იგივეს კანონიერი ხელისუფლების წარმომადგენლებს გვიყენებს ბრალად, ვაცხადებთ: მმართველი რეჟიმის დაკვეთით პროკურატურა-სასამართლოს მიერ შექმნილი დოკუმენტური მასალა უახლოეს მომავალში ნამდვილი სასამართლო ხელისუფლების მიერ იქნება გამოყენებული 1992-96 წწ. საქართველოში ჩადენილი უკანონობის ორგანიზატორთა და შემსრულებელთა საბრალდებო სკამებზე დასასმელად!

ღმერთი ფარავდეს სრულიად საქართველოს!

დაბოლოს, ამ სასამართლოს შემადგენლობამ უნდა გაარკვიოს, არის თუ არა იგი უფლებამოსილი განსაჯოს უზენაესი საბჭოს წევრები; ვინაიდან ამჟამად არსებული უზენაესი სასამართლოს კოლეგია დამტკიცებულია 1990 წელს არჩეული უზენაესი საბჭოს მიერ და კონსტიტუციის იმავე მუხლის თანახმად, რომლითაც მოხდა თქვენი დამტკიცება, არა გაქვთ უფლება უზენაესი საბჭოს თანხმობის გარეშე გაასამართლოთ უზენაესი საბჭოს წევრი. თუ თქვენ უგულებელყოფთ ამ დებულებას, ამით თქვენს თავს აღიარებთ კანონგარეშე და ამ შემთხვევაში ჩვენი გასამართლება შეიძლება შეფასდეს როგორც ძალადობა.

*საქართველოს დევნილი უზენაესი საბჭოს წევრები*
*პოლიტპატიმრები*

*ზვიად ძიძიგური*

*ნუგზარ მოლოდინაშვილი*

*7 თებერვალი*

**მოსამართლე ა. ალადაშვილმა განაცხადა, რომ მას აქვს უზენაესი საბჭოს წევრების განსჯის უფლება.**

## ძიძიგურზე გრძელდება ზეწოლა

**8 თებერვლის სასამართლო სხდომაზე ზვიად ძიძიგურმა გააკეთა განცხადება იმის შესახებ, რომ მასზე ამჟამადაც მიმდინარეობს ზეწოლა:**

“ - ჩემთან ერთად 1995 წლის 27 ივნისს, ვახუშტის ხიდის აფეთქების მცდელობის ბრალდებით, დაპატიმრებულნი არიან ჩემი ძმა - კობა ძიძიგური, სიძე - ვაჟა წერეთელი და მეგობრები - ზაზა დანელია და გიორგი ყორბესაშვილი.

ჩემს მიმართ წინასწარი ძიების დამთავრების შემდეგ მე შემხვდა გენერალური პროკურორის მოადგილე ანზორ ბალუაშვილი და განმიცხადა, რომ თუ სასამართლოზე კარგად მოვიქცევი, ჩემს დაპატიმრებულ ახლობლებსა და მეგობრებს გაათავისუფლებენ. მითხრა, რომ პასუხი გამეცა ჩემს წინააღმდეგ არსებულ კონკრეტულ ბრალდებებზე და საქმის პოლიტიკურ მხარეს არ შევხებოდი.

პირველი თებერვლის სხდომის შემდეგ ჩემს სიძეს, ვაჟა წერეთელს წაუყენეს 65-ე და 78-ე მუხლებით გათვალისწინებული ბრალდება (სამშობლოს ღალატი, ბანდიტიზმი - რედ.). 7 თებერვლის სხდომის შემდეგ იგივე მუხლები წაუყენეს ჩემს ძმას, კობა ძიძიგურს. ამ სხდომის შემდეგ მე მოველი, რომ იგივე ზომები იქნება მიღებული ჩემი მეგობრების მიმართაც.

მე, როგორც სამსჯავრო ძიებაში მყოფი, ამას მივიჩნევ ჩემზე ზეწოლის ფორმად და ვაცხადებ პროტესტს“.

მოსამართლე ა.ალადაშვილმა აიცილა განსასჯელის პროტესტი და განაცხადა, რომ ეს ორი სხვადასხვა საქმეა და ერთმანეთზე გავლენას ვერ მოახდენს.

## განსასჯელები სასამართლოზე მძიმეები მოჰყავთ

8-9 თებერვლის სასამართლო სხდომებზე მიმდინარეობდა საბრალდებო დასკვნის კითხვა, რომლის დროსაც დარბაზში დაზარალებულთა და განსასჯელთა ახლობლებს შორის დაძაბული ურთიერთობა იყო. საგულისხმოა, რომ ვითარებას კიდევ უფრო ამწვავებდა პოლიცია.

9 თებერვლის სხდომაზე განსასჯელი სოსო ჟღენტი კვლავ ცუდად შეიქნა და მოსამართლე იძულებული გახდა, გამოეძახებინა სასწრაფო დახმარება.

იმის გამო, რომ სხდომა 10 საათზე იწყება, განსასჯელებს არ ასაუზმებენ, რათა სხდომაზე არ დააგვიანონ. ამასთან ექიმები, ტრანსპორტის შეფერხების გამო, დილას ვერ ცხადდებიან დროულად და ვერ ასწრებენ განსასჯელთა ჯანმრთელობის მდგომარეობის შემოწმებას.

სოსო ჟღენტის ადვოკატმა ნანა ლიპარტიამ განუცხადა ჩვენს კორესპონდენტს, რომ მან მოსამართლის წინაშე არაერთხელ დასვა სხდომების მოგვიანებით დაწყების საკითხი. “ჩემი დაცვის ქვეშ მყოფი დაავადებულია დიაბეტით და მისი მშიერ მდგომარეობაში ყოფნა დაუშვებელია.“

მოსამართლის ბადრაგთან შეთანხმებით გადაწყდა, რომ განსასჯელებს ცოტა მოგვიანებით, 9 სთ. 30 წუთზე გამოიყვანენ, რათა საუზმე მაინც მოასწრონ.

# ლოთი ქობალიას ადვოკატი ეთანხმება მოსამართლეს

7 თებერვლის სხდომაზე მხარეების ხელმეორე წარდგინების შემდეგ, ლოთი ქობალიამ გააკეთა განცხადება, რომ მოუგვარებელია მისი დაცვის საკითხი, მას არ ჰყავს ის ადვოკატი, რომელიც შეძლებდა მისი დაცვის სრულყოფილად განხორციელებას. პრობლემა იმაშია, რომ ჯერ კიდევ სასამართლო სამსჯავრო ძიების დაწყებამდე, სასამართლო კოლეგიამ არ მიიღო მის დამცველად მერაბ ნავროზაშვილი იმ მოტივით, რომ წინასწარი ძიების ეტაპზე იგი იცავდა ნუგზარ მოლოდინაშვილს. სასამართლოს აზრით, ამას კრძალავს პარლამენტის 1995 წლის 5 აპრილის დადგენილება სს კოდექსში ცვლილებებისა და დამატების შეტანის შესახებ.

მოსამართლესა და განსასჯელს შორის გაიმართა ხანგრძლივი კამათი, რომლის დროსაც გამოირკვა, რომ ლოთი ქობალიას დაცვის საკითხი, რა ხანია, დღის წესრიგში დგას. დაცვის საკითხის განხილვამ დაზარალებულთა აღშფოთება გამოიწვია. ერთ-ერთმა მათგანმა კი იყვირა - “ამათ რა დამცველი სჭირდებათ, ისე არიან დასახვრეტები“.

ამჟამად ლოთი ქობალიას ადვოკატად სახაზინო წესით დანიშნული ჰყავს ოთარ ფანქველაშვილი, რომელსაც შესვენებაზე ვთხოვეთ კომენტარი გაეკეთებინა შექმნილი სიტუაციისთვის.

**კორესპონდენტი:** - ადვოკატთა დიდი ნაწილი მიიჩნევს, რომ საპროცესო კოდექსში შეტანილი ცვლილებები, რომელთაც ეყრდნობა მოსამართლე ა.ალადაშვილი, გარდა იმისა, რომ ზღუდავს განსასჯელის დაცვის უფლებას, ეწინააღმდეგება საერთაშორისო სამართლის ნორმებს, რომელთა უზენაესობა აღიარებულია მოქმედი კონსტიტუციითაც და უზენაესი სასამართლოს პლენუმის დადგენილებითაც. როგორ ფიქრობთ, შეეძლო თუ არა მოსამართლეს ამ შემთხვევაში დაყრდნობოდა საერთაშორისო სამართლის უზენაესობის პრინციპს?

**ოთარ ფანქველაშვილი:** - მოსამართლემ ჩამოაყალიბა თავისი პოზიცია, მე მას ვეთანხმები (?!)

*გვერდი მოამზადეს ს. გურამიშვილმა და მ. ტუსიშვილმა*

# ბიძინა გუჯაბიძის საქმე გადაეგზავნა ლანჩხუთის სასამართლოს

უზენაესი სასამართლოს კოლეგიამ იმსჯელა და გადაწყვიტა, რომ პოლიტპატიმარ ბიძინა გუჯაბიძის საქმე განსახილველად გადასცეს ლანჩხუთის სასამართლოს. ოფიციალური მოტივი ამგვარია: საქმეში ასახული მოვლენები მოხდა ლანჩხუთში, მოწმეები და დაზარალებულები იქ იმყოფებიან და მათი ჩამოყვანა (სულ 150-ე მეტი ადამიანის) სირთულეს წარმოადგენს.

მიზეზი, ერთი შეხედვით, დამაჯერებელია, მაგრამ საჭვოა, უზენაესი სასამართლოს კოლეგიას და, მით უფრო, მოსამართლე ლ. საძაგლიშვილს ეს არ სცოდნოდა ადრე, როდესაც საქმე გადმოეცა პროკურატურიდან და შემდგომ სამსჯავრო გამოძიების ორი სხდომაც კი ჩატარდა.

ჰელსინკის კავშირის ადამიანის უფლებათა კომისია მიიჩნევს, რომ ბ. გუჯაბიძის საქმის გადაგზავნა ლანჩხუთში მიზნად ისახავს მასთან დაკავშირებული ვითარებების მიჩქმალვას, საქმის მიმართ საზოგადოებრივი ყურადღების განელებას და პოლიტპატიმრის მდგომარეობის გაუარესებას. საქმე იმაშია, რომ ბიძინა გუჯაბიძის მიმართ ლანჩხუთში უკვე შექმნილია საზოგადოებრივი აზრი, თითქოს მას ბრალი მიუძღვის შეტაკების დროს დაღუპული რამდენიმე ლანჩხუთელი მოქალაქის, შეიარაღებული ფორმირების წევრების, სიკვდილში. ამ აზრს შეგნებულად უნერგავენ მოსახლეობასა და გარდაცვლილთა ოჯახის წევრებს მიუხედავად იმისა, რომ ბრალდებული არ მონაწილეობდა შეტაკებაში და საერთოდ არ იმყოფებოდა შემთხვევის ადგილას. კომისია აცხადებს, რომ შსს ადგილობრივ ორგანოებს არ შესწევთ უნარი სათანადოდ უზრუნველყონ პოლიტპატიმრის უსაფრთხოება. არ არის გამორიცხული ლანჩხუთში მის მიმართ ანგარიშსწორების მცდელობა.

მდგომარეობას ართულებს ისიც, რომ ბ. გუჯაბიძის ადვოკატმა უარი განაცხადა ლანჩხუთში გამგზავრებაზე და, როგორც ჩანს, პოლიტპატიმრის ოჯახის წევრებს მოუწევთ ახალი დამცველის მოძიება.

7 თებერვლის სხდომაზე განსასჯელმა სოსო ჟღენტმა კვლავ დასვა პროკურორის აცილების საკითხი და მოითხოვა, რომ ბრალდების მხარე წარმოადგინოს გენერალური პროკურორის მოადგილემ ანზორ ბალუაშვილმა, რომელმაც შეადგინა და შეთხზა მთელი საქმე.

განსასჯელებს ამასთან დაკავშირებით არსებითი წინააღმდეგობა არ ჰქონიათ: იმის თაობაზე, რომ მიეცეს უფლება, როგორც ეროვნული ხელისუფლების წევრებს, სასამართლოს წინაშე წარდგეს სამხედრო ფორმითა და შესაბამისი ჩინით, მოსამართლე ალადაშვილმა ციხის ადმინისტრაციის კომპეტენციად მიიჩნია.

ამავე სხდომაზე ზვიად ძიძიგურმა, თავისი და ნუგზარ მოლოდინაშვილის სახელით, წაიკითხა პოლიტიკური განცხადება.

# ვინ წაიკითხავს ბრალდებას

"მე ვეთანხმები სოსო ჟღენტს თუნდაც იმიტომ, რომ ბალუაშვილი მინდა ვნახო" - განაცხადა ჯამბულ ბოკუჩავამ. ლოთი ქობალიამ თავი შეიკავა, ხოლო ნუგზარ მოლოდინაშვილმა თქვა:

- ვინაიდან ტოტალიტარულ სახელმწიფოში არავითარი მნიშვნელობა არა აქვს, ვინ წაიკითხავს საბრალდებო დასკვნას და ის, ვინც სინამდვილეში ამ საქმის ინკრიმინატორია, აქ არ არის და არც მოვა, მე აცილებაში აზრს ვერ ვხედავ". ამ აზრს დაეთანხმა ზვიად ძიძიგურიც.

მოსამართლე ალადაშვილმა განმარტა, რომ მის კომპეტენციაში არ შედის, თუ ვინ წარმოადგენს ბრალდების მხარეს: ეს პროკურატურის უწყებრივი საკითხია და მათ უნდა გადაწყვიტონ.

ჯამბულ ბოკუჩავას შუამდგომლობა ცხადება.

შესვენების შემდგომ მოსამართლე ა.ალადაშვილმა დაზარალებულებს განუმარტა, რომ ისინი სასამართლო პროცესის სრულუფლებიანი წარმომადგენლები არიან. განსასჯელთაგან სასამართლო პროცესის დაწყებაზე თანხმობის მიღების შემდგომ, მოსამართლემ იგივე შეკითხვით მიმართა დაზარალებულებს... "კიდევ არიან დაზარალებულები დარბაზში?"

- მე ვარ! - განაცხადა გოჩა ჯიქიას მამამ. მე ჩამწერეთ დაზარალებულთა სიაში. მე, გაუბედურებული მამა, რომელსაც უდანაშაულო შვილი მოუკლეს.

დარბაზში კარგა ხანს სიჩუმემ დაისადგურა.

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარეს**
**საქართველოს უზენაესი სასამართლოს პრეზიდიუმს**
**ასლი: ადამიანის უფლებათა საერთაშორისო ორგანიზაციებს**
**საქართველოში აკრედიტებულ უცხოეთის საელჩოებს**
**საქართველოსა და მსოფლიოს საინფორმაციო საშუალებებს**

ვინაიდან უკანასკნელი 4 წლის განმავლობაში მასიური ხასიათი მიიღო პოლიტიკური საფუძვლების მქონე საქმეთა გამო სასამართლო პროცესებმა;

ვინაიდან პოლიტიკურმა სასამართლო პროცესებმა ამჟამად გარკვეულწილად კულმინაციას მიაღწია;

ვინაიდან ამის გამო საქართველოში მომრავლდნენ პოლიტპატიმრები და სინდისის ტუსაღები, ადგილი აქვს დღევანდელი ხელისუფლების მიერ პოლიტპატიმრების მიმართ ანგარიშსწორებას;

ვინაიდან კვლავაც ინტენსიურად მიმდინარეობს ხელისუფლების პოზიციისაგან განსხვავებული აზრის მქონე პირთა დევნა-შევიწროება;

ვინაიდან პოლიტიკური მოტივით გასამართლებულ და ამჟამად ბრალდებულ პირთა ხვედრითი წილის უდიდეს უმრავლესობას წარმოადგენს 1991-92 წლების დეკემბერ-იანვარში რუსეთის მიერ ინსპირირებული სამხედრო გადატრიალების შედეგად დამხობილი, ხალხის მიერ დემოკრატიულად არჩეული კანონიერი ხელისუფლებისა და პრეზიდენტის წარმომადგენლები და მათი მომხრეები;

სრულიად საქართველოს ადამიანის უფლებათა დაცვის ასოციაცია, რომელიც წარმოადგენს ადამიანის უფლებათა საერთაშორისო საზოგადოების ასოცირებულ წევრ - ორგანიზაციას, დაბეჯითებით მოითხოვს:

1. ბათილად იქნეს ცნობილი 1992 წლის იანვრიდან სასამართლოთა მიერ გამოტანილი ყოველი განაჩენი პოლიტპატიმრებზე.
2. შეწყდეს პოლიტპატიმრებისა და სინდისის ტუსაღთა გასამართლება.
3. საქართველოს რესპუბლიკის უზენაესმა სასამართლომ მისცეს იურიდიულ - სამართლებრივი შეფასება 1991-92 წლების დეკემბერ - იანვარში ქვეყანაში მომხდარ დანაშაულებრივ მოვლენებს.

ასოციაციის პრეზიდენტი **გიორგი კერვალიშვილი**
**2 თებერვალი, 1996 წელი.**

## შეცდომის გასწორება

ტექნიკური მიზეზით; წინა ნომერში დაუსრულებელი სახით წავიდა წერილი "დახლეჩილი დროების საპირისპიროდ".

გთავაზობთ პუბლიკაციის ბოლო აბზაცს:

დღევანდელობა ჩვენს შინაგან დამორჩილებაზეა გათვლილი და მომართული. ამიტომაც, ნამდვილი ბრძოლის ველი დღეს სწორედ აქაა - ჩვენში, სადაც ერთმანეთს ებრძვის უძრაობის მცონარობას მონატრებული, ექსტრემალური ვითარებებისა და სტრესებისგან დაღლილი ფსიქიკა და უსამართლობასთან შეურიგებელი, წართმეულ თავისუფლებას მოწყურებული სული. გამარჯვებული და თავისუფალიც სწორედ ის იქნება, ვინც თავის თავში სძლევს ამ სენს, გამთლიანდება და ამ ჰარმონიას დაამკვიდრებს ჩვენი დახლეჩილი დროების საპირისპიროდ.

აგრეთვე წერილში "ტრაგედია, რომელსაც ცოტანი იხსენებენ და ბევრნი არ იმჩნევენ", შეცდომით იყო დასახელებული 1992 წლის 2 თებერვალს, მშვიდობიანი მანიფესტაციის დროს დახვრეტილ პატრიოტთა რაოდენობა - 18-ის ნაცვლად უნდა იყოს 10.

# TAVISUPALI SAKARTVELO
## (FREE GEORGIA)
## No4 (in brief)
## 13 - 19 February, 1996

## Declaration

On October 28, 1990 Communist power which was a puppet regime established after occupation of Georgia by Russia in 1921 peacefully came to end in Georgia as a result of multi-party, democratic elections. The process of peaceful political deoccupation of Georgia began. Georgia managed to juridically leave the Soviet Union. On May 26, 1991 were held first presidential elections as a result of which the first President of Georgia was elected Mr. Zviad Gámsakhurdia. The process of creation of juridical and legislative basis to form an independent state began, National Guards was formed, Georgia began to establish diplomatic relationships with foreign countries etc. This process of building of democratic state was ceased by the military coup of January, 1992 which was organized by the reactive forces of Russia, former Communist functionaries, criminal elements and privileged intelligentsia of Communist period. Russian military detachments of Transcaucasian Region actively participated in the coup. As a result of coup the power was seized first by the military Council and later by the State Council (which was a new and equally illegal variation of the Military Council). On October 11, 1992 the State Council conducted elections, which led to "election" of the Parliament and its Chairman. The above elections were illegal since:

1. They were appointed by unlawful body - State Council;
2. The regularity, periodicity and continuity of the elections were violated;
3. The elections were held following the Elections Law according to which the voters practically could happily stay at home and do not bother themselves with going to the polling sites;
4. Absolute majority of the Republic of Georgia did not participate in these elections, which was confirmed by international observers more that once;
5. The elections were conducted under the conditions of severe repressions when hundreds of citizens struggling for independence of Georgia who were showing their protest against the existing regime were arrested and put into jail; criminal bands were devastating the country;
6. Despite of repressions and other forms of terrorization elections were not conducted in some regions of West Georgia, Abkhazia and Inner Kartli;
7. During the elections the country was in the state of war. In some regions was war situation;
8. "Georgian Parliament" was completed with compensation lists as a result of which all collaborationist parties were represented in the Parliament. Their interests were considered depending on their share in the coup.

After January 6, 1992 the first President of Georgia and the Supreme Council continued their activities in exile. In March, 1992 in Grozno was he;d the session of the Supreme council which estimated Tbilisi events as a military coup, and the following October session recognized the results of the elections of October 11, 1992 as unlawful and declared them annulled. On the other hand, no juridical norm exists according to which the activities of the Supreme Council elected on October 28, 1998 can be considered unlawful. On such political-and-juridical background still continues the charge brought by the Prosecutor General V. Razmadze who was appointed by the Military Council, which is known as

"The case of President Zviad Gamsakhurdia and hid Supporters". The above case endlessly is filled with more and more new Cases faked under the order of the present day authorities. Actually the Court Hearings concerning these cases are of formal character and the fate of the defendants is decided under the order of the high echelons of the factual authorities,. At the same time, the process of investigation is characterized by tortures, violation of the presumption of innocence, arrests and terrorization of the defendants' close relatives. The defendants are deprived of the right for defense, they are deprived of the right to get medical aid. Thanks to such way of fabrication of cases Georgia has hundreds of political prisoners, among them 6 members of the Supreme Council. Demonstration of Court farce and cynicism was the Court Hearing known as Dokvadze-Gelbakhiani Case, when two death sentences to Petre Gelbakhiani and Irakli Dokvadze were pronounced only because of the firm political views of the defendants. About 50 representatives of the national authorities and their supporters are presently awaiting for the verdicts to be pronounced on other Court performances. Only one Criminal Case # 7495927 concerning Loti Kobalia and others involves more than 25 defendants, among which are the members of the Supreme Council and Government of the National authorities. Irrespective of the multiple facts of juridical violations made in the course of investigation which were more than once confirmed no charges were brought against the respective persons.

The Prosecutor's Office and Court worked out a conventional scheme to square scores with the representatives and supporters of the lawful authorities, according to which to condemn the defendant it is not necessary for him (her) to participate in the specific actions. Finding out their political views is sufficient to condemn them. The actions of this or that defendant as a rule is "qualified" in advance (with violation of the presumption of innocence) by the representatives of the actual authorities after which this "Qualification" is officially fixed by the Court hearing.

For present day Court the principle of superiority of Law is replaced with the superiority of the will of the actual authorities, thanks to which the Court and Prosecutor's Office are but an auxiliary "juridical" office of the ruling regime designated for suppression of political opponents.

Case # 7495927 "Case of Loti Kobalia and Others" is another example in the series of falsified Cases. The majority of witnesses are representing the factual authorities and their testimonies are serving to blame the lawful authorities and their supporters in favor of the ruling regime rather than to find out the truth. The formulation of the guilt of the defendants presented by the preliminary investigation is word by word repeated in indictment of the Court (even grammar mistakes are rewritten without changes).

Proceeding from the all above stated I declare, that the present day Court authorities have neither juridical nor moral right to trial us. This Court Hearing is another example of political violence. In Court Hearing where everything is decided in advance I participate only to expose the existing authorities and their criminal policy.

As a member of the Supreme Council, basing on the Constitution and Laws of Georgia, which were terminated using the violence, I declare: "The composition of the Court should find out whether it is authorized to trial the members of the Supreme Council; since the presently existing Court Collegium was approved by the Supreme Council elected in 1990 and according to the Article of Constitution by which this composition was approved they do not have the right to trial the member of the Supreme Council without the consent of the Supreme Council. If it ignores this Article, it recognizes itself out of law and in such case our trial can be estimated as violence.

Member of the Exiled Supreme Council of Georgia

**Political Prisoners**

**Zviad Dzidziguri,**
**Nugzar Molodinashvili**

## Pressure on Zviad Dzidziguri Continues

At the Court Session of February 8 Zviad Dzidziguri made a statement saying that he still continues to be under the pressure:

"My brother Koba Dzidziguri, my broher-in-law Vazha Tsereteli and my friends Zaza Danelia and Giorgi Korbesashvili were arrested together with me on June, 1995 under the charge of attempt to explode the Vakhushti Bridge.

After the preliminary investigation of my Case was over, I met the deputy Prosecutor General Anzor Baluashvili who told me, that if I behaved well at the Court Hearing, my arrested relatives and friends would be released. He instructed me that I should answer only to the specific charges against me and avoid any political aspects. After the first Court Session my brother-in-law was charged with accusations envisaged by Articles 68 and 78 (High Treason, banditism - ed.). After the session of February 7 the same charges were brought against my brother Koba Dzidziguri. After this Session I am expecting that the same would be repeated against my friends. As a person under investigation I consider this as the form of exerting pressure on me and express my protest against it."

The Judge A. Aladashvili rejected the protest of the defendant and declared, that those are two different Cases and they cannot influence one another.

To the Parliaments and Governments of all the Peoples of the World
To the World Mass Media

## Petition

- In view of the fact that after disintegration of the USSR the authority of the Russian Federation is continuing its imperialistic politics towards the former Republics of the USSR;
- In view of the fact that, this politics with the armed forces of Russia taking part, caused the total destabilization in Caucasus and overthrow of the democratically elected governments and the establishment of the Russian antidemocratic provocation of ethnic conflicts and civil wars, the genocide of the Caucasian nations and their banishment from their historic places of residence.
- In view of the fact that the increasing of the armed forces of Russia make danger to achievement of peace not only in this region but in all the eastern Europe;

We, the citizens of the Republic of Georgia

Demand

the Russian armed forces to be immediately taken away from the Georgian Republic, Chechnia and the whole Caucasus

*Collecting of Signitures is going on.*

მთავარი რედაქტორი თამარ ებრალიძე
EDITOR IN CHIEF TAMAR EBRALIDZE
მოგვწერეთ მისამართზე: 380008, თბილისი 8, საბონენტო ყუთი №227
Address for correspondence: Box #227, 380008, Tbilisi 8, Georgia